სახელმწიფო შესყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №8

დაბა ქედა **22 .01 2020 წ.**

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მერის ლევან გორგილაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს ,,ბათუმელები" (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია ამაღლობელის სახით საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,, გამარტივებული შესყიდვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. სულხან სალაძის წიგნის ,,უცნობი ძველი აჭარა" შესყიდვა, (რაოდენობა 100 ცალი) კლასიფიკატორის კოდი CPV22110000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათასხუთასი) ლარს

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. საქონლის მიღება - ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადეობასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სოფიო ხაბაზი.

3.2.მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.3.საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3.ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

~

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით

სახელშეკრულებო ღირებულების 10.0% არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
6.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა ასანაზღაურებელი თანხის 0.2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დრისათვის.
6.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2(ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

7.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი:
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში:
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს,რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 01 აპრილამდე.

10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 01 მაისამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

მხარეთა რეკვიზიტები*:*

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი	შპს. ,,ბათუმელები“
დაბა ქედა, მ. კოსტავას №3	ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის გამზირი #48
საიდ. კოდი 246742061	საიდ. კოდი 204447651
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტი: `,,პროკრედიტ ბანკი~
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი MIBGGE22
ანგ. № GE24NB0330100200165022	ანგ. GE31PC0033600100024265
მერი	დირექტორი
ლევან გორგილაძე	მზია ამაღლობელი